



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 16

07 / მაისი / 2018 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის სანყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, სანყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას, წლიური ქირის სანყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა) ქ.ახმეტაში, ჭავჭავაძის ქუჩაზე (ყოფილი პოლიციის შენობის) მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 177კვ.მ ფართის(საკადასტრო კოდი 50.04.42.100)

- სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის სანყისი საფასური, სანყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 7%-ით - **1896,0** (ერთიათას რვაას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი;

ბ) სოფ მატანში, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში პირველ სართულზე მდებარე 19.8კვ.მ ფართის, (საკადასტრო კოდი 50.11.47.016)

- სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური, სანყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ით- **150.0** (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

თ ყვარ

თამარ ყვინიშვილი